

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარული ფაკულტეტი**

**ამერიკათმცოდნეობა**

**ორენოვანი სწავლება ამერიკულ სასკოლო სისტემაში და მისი  
გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში**

**ეპატერინე ფიფია**

**სადოქტორო დისერტაციის**

**ავტორეფერატი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად  
(ამერიკათმცოდნეობის სპეციალობით)**

**თბილისი, 2010**

**ხელმძღვანელი** : პროფ. დოქტ. ნათელა დოდონაძე

.....

**ექსპერტი:** ასოც. პროფ. დოქტ. ირინა ბახტაძე

.....

**ოპონენტები:**

პროფ. დოქტ. მანანა ლარიბაშვილი

.....

ასოც. პროფ. დოქტ. მარინა ზორანიანი

.....

## დისერტაციის მოქლე შინაარსი

ისტორიულად დებატები ენობრივ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით განპირობებული იყო ორი მნიშვნელოვანი ფაქტორით: ეროვნული იდენტურობის განვითარებითა და საჯარო სკოლების არსებობით. ევროპაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი ენობრივი ცვლილებები გამოიწვია სწორედ ეროვნული ინდეტურობის და, შესაბამისად, ენობრივი ასიმილაციის პროცესის სწრაფმა ზრდამ. აღსანიშნავია თურქული და ავსტრიული იმპერიების შემდეგ ევროპულ გეოპოლიტიკურ არენაზე ახალი მოთამაშის გამოჩენა ამერიკის შეერთებული შტატების სახით, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა ენობრივი ასიმილაციის პოლიტიკა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ენობრივი ასიმილაცია XX საუკუნის მეორე ნახევრამდე აქტიური განხილვის საგანს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, პვლევებმა ბილინგვიზმის უპირატესობებზე, საერთაშორისო ეკონომიკურმა იმიგრაციამ და საშინაო პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა დებატების განახლება ენობრივ მრავალფეროვნებაზე. მსგავსი ტენდენცია მნიშვნელოვნად შესამჩნევი გახდა ამერიკაში, სადაც, თუ კი გავითვალისწინებო იმას, რომ ინგლისური დომინანტურ ენად ითვლებოდა XVII საუკუნის ბოლომდე, ასიმილაციის პროცესი მაინც მთელი რიგი დაბრკოლებებით მიმდინარეობდა. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ელიარებინათ ინგლისური აშშ-ის ოფიციალურ ენად, ფედერალური მთავრობის დამოკიდებულება ითვალისწინებდა ამერიკის შეერთებული შტატების თვითმართველობაში ენობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიების გატარებას, რამაც განაპირობა ამერიკულ საზოგადოებაში ‘ამერიკულად მოლაპარაკე’ სეგმენტის დამკვიდრება.

1960-იან წლებში ბილინგვიზმის თემა მჭიდროდ ასოცირდებოდა კულტურულ მრავალფეროვნებასთან, საიმიგრაციო პოლიტიკასთან და, რაც მთავარია, ამერიკული საზოგადოების დემოკრატიზაციასთან. დროთა განმავლობაში, სამოქალაქო და ქალთა უფლებების ურთიერთკავშირმა, გარემო ფაქტორებმა მშვიდობის საკითხებთან ერთად ხელი შეუწყო ბილინგვური განათლების პოპულარიზაციას პოლიტიკურ არენაზე. ამასთან ერთად, ეკონომიკურმა და

პოლიტიკურმა იმიგრაციამ გამოიწვია ენობრივი უმცირესობების სწრაფი ზრდა. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ის იმიგრანტები, რომლებიც პუერტო რიკოდან და მექსიკიდან ამერიკაში გადადიოდნენ სამუშაოს საძებნელად, აგრეთვე ისინიც, კუბიდან გამოძევების შემდეგ თავშესაფარი ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ იპოვეს. ჩამოყალიბდა სამოქალაქო უფლებების მოძრაობა, რაც მოითხოვდა თანასწორი უფლებების შემოღებას აფრიკელ-ამერიკელი მოქალაქეებისთვის. ამ მოთხოვნის შედეგი გახდა 1964 წლის სამოქალაქო უფლებების აქტი. ეს კანონი კრძალავდა კანის ფერის, რასის, რელიგიისა და წარმომავლობით დისკრიმინაციას საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და სკოლებში და გახდა ამოსავალი წერტილი ლათინო-ამერიკელებისთვის, გამოეყენებინათ მშობლიური ენა საჯარო სკოლებში, როგორც თანასწორი განათლების საშუალება. ტენდენცია შესამჩნევად ძლიერი იყო ტეხასში, სადაც მექსიკური წარმომავლობის სტუდენტები და მშობლები აპროტესტებდნენ დისკრიმინაციულ პოლიტიკას, რომელსაც ინგლისურენოვანი სკოლების ადმინისტრაცია ახორციელებდა. ტრუჯილო (1996) აღნიშნავდა, რომ მექსიკური წარმომავლობის ადამიანების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება განაპირობა პოლიტიკურმა სუბორდინაციამ, ეკონომიკურმა პირობებმა და სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლამ.

ჩვენთვის საინტერესოა სახელმწიფოს (სკოლა, ადმინისტრაცია, პოლიტიკური დისკურსი) და კულტურული ჯგუფების ენობრივი სტატუსის გარკვევა და შეფასება. ენა შეიძლება მოიაზრებოდეს დომინანტურ ენად სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად, არაბული ენა არის დომინანტური ენა სამხრეთ აფრიკის მუსლიმანურ რეგიონებში, მაშინ როდესაც იგივე ენა სამხრეთ აფრიკელი იმიგრანტებისთვის დომინანტურ ენას წარმოადგენს ევროპაში. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ესპანურზეც, რომელიც არის დომინანტური ენა მექსიკაში და ამავდროულად ამერიკის სამხრეთ-დასავლეურ ნაწილშიც.

ბილინგვიზმი თანამედროვე მოვლენა არის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. გროსჯეანი (1982) აღნიშნავდა, რომ მხოლოდ იაპონია და დასავლეთ გერმანია ითვლებოდნენ ერთენოვან ქვეყნებად, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ საუბრობდა სახელმწიფო ენაზე. ეს მაგალითი ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ჩვენ

ვცხოვრობთ მრავალენოვან სამყაროში. ჩემი კვლევის ობიექტი - ამერიკის შეერთებული შტატები, წარმოადგენს მრავალენოვან ქვეყანას ინგლისური, ესპანური და სხვა იმიგრანტების ენებით. ეს ფაქტი მეტყველებს ამერიკელი ერის ენობრივ მრავალფეროვნებაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორენოვანი პროგრამების არსებობას და მათ სწრაფ გავრცელებას 1968 წლის ბილინგვიზმის საგანმანათლებლო აქტის შემდეგ. ორენოვანი იმერსიული განათლება განიმარტება როგორც სანგრძლივი ‘ადიტიური’ ბილინგვური და ბიკულტურული პროგრამის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ორი ენის ერთდროულ გამოყენებას სასწავლო პროცესი. მისი გამოყენება პირველად XIX საუკუნეში მოხდა, როდესაც ძალიან ბევრ შტატში შეიმუშავეს არაინგლისურენოვანი და ორენოვანი იმერსიული პროგრამები. მსგავსი პროგრამები გამოირჩეოდა ენობრივი მრავალფეროვნებით. იგი შეიცავდა აგრეთვე გერმანულ, შვედურ, ნორვეგიულ, დანიურ, პოლანდიურ, პოლონურ, იტალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენებს. ოფიციალურ სასკოლო ადმინისტრაციას წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობა, რამდენადაც ამის უფლებას ამერიკის მთავრობა იძლეოდა. როდესაც ადგილობრივად კონტროლდებოდა განათლების სფერო, ამერიკელები ხშირად იყენებდნენ ორენოვან სწავლებას კლასებში.

ჩემი დისერტაციის მიზანი არის თანამედროვე ამერიკულ სკოლებში ახლად ჩამოყალიბებული ორენოვანი პროგრამების კვლევა და შეფასება; მათი ეფექტურობისა და უმცირესობებზე ზეგავლენის განსაზღვრა; მშობლების როლი და, ზოგადად, ამერიკული დამოკიდებულება ამ ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ; არსებული ბილინგვური გარემოს შესწავლა, რათა მოხდეს ამერიკაში ცნობილი იმერსიული პროგრამების გამოცდილების გათვალისწინება საქართველოს სკოლებში. კვლევის პრობლემა შემდეგნაირად არის დასახული:

- არის თუ არა ორენოვანი იმერსიული პროგრამა ამერიკაში საუკეთესო საშუალება ინგლისურის, როგორც მეორე ენის, შესწავლის პროცესში?
- შეიძლება თუ არა გამოვიყენოთ ამერიკაში ესოდენ ცნობილი ორენოვანი იმერსიული პროგრამები, როგორც მოდელი, მეორე ენის შესახვავლად საქართველოს სკოლებში?

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ამერიკელებმა თავიანთი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ენობრივ პრობლემებს, რამაც რადიკალურად შეცვალა საგანმანათლებლო პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში. პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა ბრძოლები სოციალურ ბატონობაზე კულტურულ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ამ საკითხზე კვლევამ აჩვენა, რომ რთულია შევქმნათ სოციალური და კულტურული ატმოსფერო, რაც გაითვალისწინებს კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების ფაქტორს. კულტურული და ენობრივი ასიმილაციის იდეოლოგიამ გამოიწვია ჩვენთვის საინტერესო რეფორმები ამერიკის საჯარო სკოლებში. ბილინგვიზმი ამერიკაში გახდა განახლებული კამათის თემა მას შემდეგ, რაც სკოლებს იმიგრაციის დიდმა ტალღამ გადაუარა. რამდენადაც დღესდღეობით ყურადღება მიმართულია უცხო ენის შესწავლის სტანდარტებისკენ, სკოლების უმრავლესობამ აირჩია ორენოვანი განათლება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ორენოვანი იმერსიული პროგრამების არსებობა ფართოდ არის მიღებული ამერიკაში, მისი როგორც ერის, არსებობის დღიდან, რაც გამოწვეულია იმიგრაციის პროცესით.

ამერიკულ ‘დნობად ქოთანთან’ (melting pot) შედარებით საქართველო ყოველთვის მოიაზრებოდა როგორც მრავალეროვანი ქვეყანა, რომლის 83.8%-ს ქართველები შეადგენენ, 6.5%-ს - აზერბაიჯანელები, 5.7%-ს - სომხები და დანარჩენ 4%-ს შეადგენენ აფხაზები, ოსები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ქურთები და ბერძნები. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველომ შეიმუშავა საჯარო სკოლების სისტემა, რაც გულისხმობდა სხვადასხვა ენაზე სწავლებას. შესაბამისად, ბავშვებს შეუძლიათ ისტავლონ ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საჯარო სკოლებში. ამ სისტემის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი თჯახების შვილებს შეუძლიათ მიიღონ სრული დაწყებითი და საშუალო განათლება თავიანთ ენაზე. ნაშრომი მიმოიხილავს იმ სკოლებს, სადაც სასწავლო ენა არ არის ქართული, რაც ხშირად არ შეესაბამება ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებს ქართულ ენასთან დაკავშირებით. ბევრი სკოლა ვერ აკმაყოფილებს საბაზისო კრიტერიუმებს ქართული ენის მასწავლებლებთან მიმართებაში, რადგან მასწავლებლებმა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენა თავად არ

იციან სათანადოდ. ახალი რეფორმების გატარების შემდეგ არაქართული სკოლები სახელმძღვანელოებს მეზობელი ქვეყნებიდან იღებდნენ და ამ სკოლებში ფაქტობრივად ისწავლებოდა არა საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების ისტორია და გეოგრაფია. მსგავსი ტენდენცია უფრო გაუარესდა, როდესაც შემცირდა უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა ეთნიკური უმცირესობებისთვის. დაწყებითი და საშუალო სკოლებისგან განსხვავებით, ერთადერთი ენა, რომელზეც მიმდინარეობს საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესი ქართულის გარდა არის რუსული ან (იშვიათად) ინგლისური ენა.

შესაბამისად, ჩემი კვლევის საგანი არა მარტო ზოგადად მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელიცაა. იმ საგანმანათლებლო რეფორმების ფონზე, რაც ხორციელდება ამერიკასა და საქართველოში, ძალიან ფასეულია ვისაუბროთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოსწავლეების უფლება - ისწავლონ მშობლიურ ენაზე და, აგრეთვე, კარგად იცოდნენ სახელმწიფო ენა. გარდა ამისა, რამდენადაც ენობრივი განვითარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული გონებრივ განვითარებასთან, აქედან გამომდინარე, თუ კი ჩვენ გვსურს გვყავდეს მოსახლეობა, რომელიც თავს გაართმევს თანამედროვე მოთხოვნებს, აუცილებლად უნდა შევუქმნათ შესაფერისი პირობები გონებრივი განვითარებისთვის.

ნაშრომის თეორიულ მიზანს წარმოადგენს პიპოთეზის პრაქტიკული შემოწმება:

- 1) ბილნგვიზმი არ იწვევს ენობრივ აღრევას და არ ახდენს ნებატიურ ზეგავლენას ენობრივ და გონებრივ განვითარებაზე.
- 2) ორენოვანი იმერსიული პროგრამები განიხილება, როგორც ყველაზე ეფექტური მოდელი ამერიკის შეერთებულ შტატებში.
- 3) ქართველი მშობლები თავიანთ მხარდაჭერას გამოთქამენ ბილინგვიზმის მიმართ, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის საჭიროება, რომლებიც დაეხმარება ჩვენს საზოგადოებას ზუსტი წარმოდგენა პქონდეს ბილინგვურ განათლებაზე.
- 4) ეთნიკური უმცირესობების მშობლები განიხილავენ ორენოვან იმერსიულ პროგრამებს, როგორც ეფექტურ საშუალებას კომუნიკაციისა და პატივისცემის

გასაღვივებლად ისეთ ბავშვებში, რომლებიც გამოირჩევიან სხვადასხვა კულტურული და ენობრივი ნიშნით და მხარს უჭერენ ამ პროგრამების ჩამოყალიბებას საქართველოს სკოლებში.

ზემოთ ხსენებული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები:

- არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და სიტუაციური ანალიზი
- კითხვარები
- სტატისტიკური ანალიზი

კვლევა არის ემპირიული და თვისებრივი. ჩემი ინტერესის სფერო იყო, გამერკვია ორენოვანი განათლების პროგრამის ყველაზე უფერტული მოდელი ამერიკაში და მისი საქართველოში დამკვიდრების პერსპექტივები.

- 1) **კვლევა I** – საკვლევ ჯგუფს წარმოადგენდა ქართველი მშობლები, რომელთა შვილებიც სწავლობენ ქართულ-ამერიკულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში (70 რესპონდენტი).
- 2) **კვლევა II** – საკვლევი ჯგუფი დაკომპლექტდა სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი მშობლებით, რომელთა შვილები სწავლობენ თბილისის არაქართულ სკოლებში (180 რესპონდენტი).
- 3) **კვლევა III** – საკვლევი ჯგუფი იყო ამერიკელი იმიგრანტი მშობლები, რომელთა შვილები სწავლობენ ორენოვან იმერსიულ პროგრამებში (104 რესპონდენტი).

## კვლევის სიახლე

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბილინგვურ პროგრამებზე არსებობს ბევრი მეთოდიკური პუბლიკაცია, მაინც არასაკმარისია ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული სისტემური ემიპირიული კვლევა. დაახლოებით ორ ათწლეულს ითვლის ამ პროგრამების არსებობა და ჯერჯერობით ცოტა მეცნიერული კვლევაა ჩატარებული. უფრო მეტიც, პროგრამების უმეტესობა უცნობი რჩება დანარჩენი მსოფლიოსთვის და არც საქართველოა გამონაკლისი. ბევრი განსხვავება არსებობს ამ პროგრამებს შორის იმის გათვალისწინებით, თუ

რა ტიპის სტუდენტებზე მოქმედებს უფრო ეფექტურად და რა სახის სასწავლო გარემო არის შესაფერისი. შესაბამისად, საჭიროა კვლევების ჩატარება, თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს სხვადასხვა პროგრამა სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.

ჩემი ნაშრომი იკვლევს ორენოვანი განათლების თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს; მის ზეგავლენას მოსწავლეების ენობრივი და წიგნიერების დონის განვითარებაზე და, აგრეთვე, მშობლების როლს. გარდა ამისა, ეს არის საქართველოს სინამდვილეში პირველი შედარებითი კვლევა, რომელიც ითვალისწინებს არსებული კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების ანალიზს და ამერიკული მოდელის შემოღების პერსპექტივას ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში.

### თეორიული მნიშვნელობა

კვლევისთვის შეგროვებული დოკუმენტაცია ეყრდნობა გარკვეულ ბილინგვურ თეორიულ მოდელებს, რომლებსაც რამდენიმე ფუნქცია გააჩნია. თეორიული მოდელი ითვალისწინებს პროგრამის სწავლებას, მიზნებს და შეფასებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბილინგვური თეორიები ფილოსოფიური საფუძვლებიდან და პედაგოგიური პრინციპებიდან იღებს სათავეებს. რუიცი თავის ნაშრომში ‘Orientations in language planning’ (1984) აღწერს ენის სამ კატეგორიას: ა) ენა როგორც პრობლემა, ბ) ენა როგორც უფლება და გ) ენა როგორც საშუალება. კატეგორია - ‘ენა როგორც პრობლემა’ დამახასიათებელია ბილინგვური განათლების მოდელებისთვის, რომლებიც მოიაზრებენ ინგლისური ენის შეზღუდულ უნარს, როგორც დაბრკოლებას და ნაკლს, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიღახოს ინგლისური ენის ინტენსიური მეცადინეობით და ‘მკურნალობითი’ მეთოდით. ინგლისური იმერსიული პროგრამა, რომელიც აშშ-ში არის ყველაზე დიდი ტიპი ორენოვანი პროგრამებისა, ამ ენობრივი კატეგორიის ქვეშ ერთიანდება. კატეგორია - ‘ენა როგორც უფლება’ გულისხმობს კურიკულუმის თანასწორ გადანაწილებას ორივე ენაში. ტრანზიციული ბილინგვური პროგრამები სწორედ ამ ლინგვისტურ უფლებებზე არის დაფუძნებული და, შეიძლება ითქვას, რომ ამით განსხვავდება სხვა ბილინგვური პროგრამებისგან. კატეგორია- ‘ენა როგორც

საშუალება’ მოიცავს შემდეგი სახის ბილინგვურ პროგრამებს: 1) ორივე ენის შენარჩუნების პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის, 2) ფრანგულ-კანადური იმერსიული პროგრამა ეთნიკური უმრავლესობისთვის, 3) ორენოვანი იმერსიული პროგრამები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობისა და უმრავლესობის მოსწავლეთა ერთად ყოფნას გულისხმობს ერთ სასწავლო გარემოში. ლამბერტი (1972) აღნიშნავს, რომ ნამდვილი იმერსიული პროგრამები ადიტიური ბილინგვიზმის პუთხით განიხილება და პირდაპირ პასუხობს მშობლების სურვილს - გაზარდონ თავიანთი შვილები ბილინგვურ საზოგადოებაში. ორენოვანი იმერსიული პროგრამები ლინგვისტური უფლებების გათვალისწინებით მიჩნეულია, როგორც საუკეთესო საშუალება თანაბარი განათლების მისაღებად, რომელიც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ეთნიკური უმცირესობისა და უმრავლესობის მოსწავლეებმა ორივე ენაში მიაღწიონ მაღალი დონის აკადემიურ წარმატებას.

### **პკლევის პრაქტიკული მნიშვნელობა**

პკლევის შემუშავებული რეკომენდაციები საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ ეროვნული უმცირესობების განათლება საქართველოში.

### **დისერტაციის სტრუქტურა**

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი, 3 თავი, დასკვნა, რეკომენდაციები, ბიბლიოგრაფია და 3 დანართი.

ნაშრომის პირველი თაგი შეიცავს ბილინგვური პროგრამების ისტორიულ მიმოხილვას, მათი წარმოშობის მიზეზებსა და სხვადასხვა ტიპის პროგრამების ფორმირებას, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა სოციალური და კულტურული ფაქტორებით. ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებულია ბილინგვიზმის როლი ორენოვან ბავშვებში ენობრივი დონისა და ზოგადი განათლების განვითარების თვალსაზრისით, რაც გარკვეულ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ემსახურება, და გარდა ამისა, კპლევების შედეგად დამტკიცდა, რომ ბილინგვიზმი არ ახდენს ნეგატიურ გავლენას ორენოვანი ბავშვების გონიერებაზე.

დისერტაციის მეორე თავში უფრო დეტალურად არის აღწერილი ორენოვანი პროგრამების სხვადასხვა მოდელი, მათი თვისებები და შედეგები, განსაკუთრებით, იმერსიული პროგრამები.

### *ცხრილი 1. ორენოვანი იმერსიული პროგრამების აღწერა*

იმერსიული 90/10 პროგრამა, სადაც მეორე ენა დაწყებით დონეზე დროის 80-90% გამოიყენება და საშუალო დონემდე თანდათან თანაბრდება(50-50).		იმერსიული 50/50 პროგრამა ორივე ენა (ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის) თავიდანვე თანაბრად არის გადანაწილებული		
მეორე ენის გამოყენების %	ინგლისური ენის გამოყენების %		მეორე ენის გამოყენების %	ინგლისური ენის გამოყენების %
<b>0</b>	90	<b>10</b>	<b>0</b>	50
<b>1</b>	80	<b>20</b>	<b>1</b>	50
<b>2</b>	70	<b>30</b>	<b>2</b>	50
<b>3</b>	60	<b>40</b>	<b>3</b>	50
<b>4</b>	50	<b>50</b>	<b>4</b>	50
<b>5</b>	50	<b>50</b>	<b>5</b>	50

ძირითადი განსხვავება ამ პროგრამებს შორის არის მხოლოდ სწავლების დრო, რაც ნამდვილად განაპირობებს ორენოვანი იმერსიული პროგრამების თანაბარ წარმატებას ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის ოჯახების მოსწავლეებისთვის.

ამავე თავში საუბარია იმერსიული პროგრამების მახასიათებელ ნიშნებზე სახელმწიფო და კერძო სკოლებში. აქვე განხილულია ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვა, რომელიც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ენის ბილინგურ გარემოში შესწავლასთან და გულისხმობს თრი ენის ერთდროულად ან ჩანაცვლებით გამოიყენებას. ამ თვალსაზრისით ნაშრომი მიზნად ისახავს:

- 1) გამოივლინოს ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვა, როგორც ეფექტური სტრატეგია სმენითი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.
- 2) მნიშვნელოვანი როლი დაუთმოს აქამდე ბილინგვიზმთან დაკავშირებულ კვლევებს, რომლებიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობის მშობლიური


ენის თავდაპირველ გამოყენებას სასწავლო პროცესში და სკოლების მნიშვნელოვან როლს - გაითვალისწინონ ლინგვისტური კონცეფციები და მშობლების დამოკიდებულება თავდაპირველი სასწავლო ენის არჩევისას.

დისერტაციის მესამე თავში განხილულია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემი არსებული რეფორმები ენობრივ უმცირესობებთან დაკავშირებით და ზოგადად საუბარია იმაზე, თუ რამდენად არის ქართული საზოგადოება მზად იმერსიული პროგრამების ამერიკული მოდელის მისაღებად. თეორიის დონეზე მოპოვებულმა ინფორმაციამ განაპირობა სამი სახის ემპირიული კვლევის ჩატარება, რომელმაც საფუძვლიანი პასუხები გასცა ნაშრომის დასაწყისში დასტულ შეკითხვებს.

დისერტაციაში კვლევის შედეგები წარმოდგენილია 25 ცხრილით.

**პირველ კვლევაში** მოცემულია ქართველი მშობლების დამოკიდებულება ზოგადად ბილინგვიზმთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ იცოდნენ ბილინგვიზმის მიზნები, ძალიან ცოტამ შეძლო მათი დასახელება (იხ. ცხრილი 2)

#### ცხრილი 2. ქართველი მშობლების ბილინგვური ცნობიერება



ზემოთ მოცემულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ ჩვენი საზოგადოების ამ საკითხზე ინფორმირების საჭიროება, რადგან მშობლები ძალიან დიდ როლს თამაშობენ შვილების განათლებაში და არასწორმა დამოკიდებულებამ შეიძლება საბოლოოდ სავალალო შედეგები გამოიღოს.

საინტერესოა კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: მშობელთა უმრავლესობამ მოიწონა მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენის შესწავლის პროცესში

**მეორე კვლევა** ჩატარდა საქართველოში მცხოვრებ ენობრივ უმცირესობებზე და მიზნად ისახავდა მათი დამოკიდებულების გარკვევას იმერსიული პროგრამების საქართველოში შემოღებაზე. საკვლევი ჯგუფი აერთიანებდა სომხებს, აზერბაიჯანელებსა და რუსებს, რომელთა შვილები სწავლობდნენ არაქართულ სკოლებში. კვლევისთვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მთელს მსოფლიოში 250-ზე მეტი სკოლა არსებობს ამერიკული აკრედიტაციით, მისი ნიშნები ჩვენს საგანმანათლებლო სისტემასაც ეტყობა. შესაბამისად, კვლევის მიზანსაც წარმოადგენდა სწორედ ენობრივი უმცირესობების დამოკიდებულება ამერიკული მოდელის შემოღებისადმი, გამოკითხვის შედეგების ანალიზმა გამოავლინა მათი ძლიერი მხარდაჭერა (იხ. ცხრილი 3.)

**ცხრილი 3. საქართველოში მცხოვრები ეთნიური უმცირესობის წარმომადგენელი მშობლების მხარდაჭერა ორენოვანი პროგრამების მიმართ**


დაუჭირთ თუ არა მსარს საქართველოში ორენოვანი იმერსიული პროგრამების შემოღებას?		აზერბაიჯანელები		სომხები		რუსები		ქურთები		
კი	არა	72	40.0%	63	35.0%	35	19.4%	10	5.6%	
კი	<b>155</b>	86.0%	<b>61</b>	84.7%	<b>58</b>	92.1%	<b>28</b>	80.0%	<b>8</b>	80.0%
არა	<b>9</b>	5.0%	<b>4</b>	5.6%	<b>2</b>	3.2%	<b>2</b>	5.7%	<b>1</b>	10.0%
არ უპასუხა	<b>16</b>	9.0%	<b>7</b>	9.7%	<b>3</b>	4.8%	<b>5</b>	14.3%	<b>1</b>	10.0%
<b>სულ:</b>	<b>180</b>	<b>100.0%</b>	<b>72</b>	<b>100.0%</b>	<b>63</b>	<b>100.0%</b>	<b>35</b>	<b>100.0%</b>	<b>10</b>	<b>100.0%</b>

საგულისხმოა კვლევის შედეგი, სადაც რესპონდენტებმა გამოავლინეს ინტეგრაციული და ინსტრუმენტალური მოტივაციის ქონა. ინსტრუმენტალური მოტივაცია გამოიხატა მათ სურვილში - ასწავლონ შვილებს ქართული ენა და

გახდნენ ბილინგვები. რაც შეეხება ინტეგრირებულ მოტივაციას, ამ ტიპის მოტივაცია გამოიხატა მათ სურვილში - იყვნენ ინტეგრირებულები ქართულ საზოგადოებასთან.

**მესამე კვლევა** ანალიზს უკეთებს ორენოვანი პროგრამების ეფექტურობას ამერიკაში. ზოგადად, პირველი თაობის იმიგრანტები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთი შვილების აკადემიური წარმატებისთვის საჭირო ფსიქოლოგიურ, ლინგვისტურ და სოციალურ ფაქტორებს. აქედან გამომდინარე, იმერსიული პროგრამის ხელმძღვანელები დიდად აფასებენ მშობელთა მონაწილეობას ორენოვანი პროგრამების განვითარებაში. ჩემი კვლევისთვის შევარჩიე ამერიკელი იმიგრანტი მშობლები, რომელთა შვილები სწორედ იმერსიულ პროგრამებში არიან ჩართულები. მუშაობისას გამოვიყენე ინტერნეტ გამოკითხვის მეთოდი, რომელმაც საშუალება მომცა ჩემი კითხვარი გადამეგზავნა ამერიკელი მშობლებისთვის. (კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.surveymonkey.com/s/BF922DQ>.) მიღებული შედეგები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა: ყველაზე დიდმა პროცენტმა დაასახელა ორენოვანი იმერსიული პროგრამა, როგორც საუკეთესო არჩევანი თავიანთი შვილებისთვის (იხ. ცხრილი 4)


#### ცხრილი 4. ამერიკელი იმიგრანტი მშობლების არჩევანი



ორენოვანი იმერსიული პროგრამის წარმატება და პოპულარობა მშობლებს შორის თვითონ პროგრამის შინაარსიდან გამომდინარეობს. საგულისხმოა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე კულტურული კონფლიქტებისა და ასიმილაციის პროცესი, რაც კვლევაშიც აისახა იმით, რომ მშობლების 35.4%-მა, რომლებმაც აირჩიეს ორენოვანი იმერსიული პროგრამები, ამ პროგრამაში მონაწილეობის ერთ-

ერთ მიზნად დაასახელეს მშობლიურ ენასა და კულტურასთან სიახლოვე და მათი შენარჩუნება (იხ. ცხრილი 5)

#### ცხრილი 5. ორენოვან იმერსიულ პროგრამებში მონაწილეობის მიზნები



მაშასადამე, სკოლებმა უნდა შექმნან პოზიტიური და ‘ადიტიური’ ბილინგვიზმის გარემო მოსწავლეებისთვის. ამიტომაც ითვლება ორენოვანი იმერსიული პროგრამები ეფექტურ პროგრამებად, რადგან მათი ძირითადი დანიშნულება არის მშობლიური ენის შენარჩუნება, მშობლიურ კულტურასთან სიახლოვე და ამავდროულად არსებულ დომინანტურ საზოგადოებაში ინტეგრირება.

### დასკვნა

პკლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ:

1. ბილინგვიზმი არ წარმოადგენს მხოლოდ ორი ენის არითმეტიკულ ჯამს, რომელიც ბაგშის გონებრივ განვითარებას აფერხებს. ზემოთ განხილულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბილინგვიზმი არ იწვევს ქაოსს და არც ნათლად გამოხატული უარყოფითი ზეგავლენა გააჩნია გონებრივ განვითარებაზე. მეორე ენის ათვისების საწყის ეტაპზე ბაგშვებს, რომელთაც ორი ენა ესმით, შეიძლება აღენიშნოთ შენელებული განვითარება ერთენოვან ბაგშვებთან შედარებით. თუმცა, ზოგადად, ორენოვანი ბაგშვები ენის ათვისების ყველა ასპექტში მათ არ ჩამორჩებიან. აღნიშნული ხარგეზები ჩვეულებრივ უმნიშვნელოა და მოკლევადიანი. ორენოვანი ბაგშვების სოციო-კოგნიტური

განვითარება გარკვეულ უპირატესობებსაც კი ამჟღავებს ერთენოვან ბაგშვებთან მიმართებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვების შეხედულებების აღქმა, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზის არჩევა და ერთი და იმავე საკითხის ორგვარი შესაძლო ინტერპრეტაციის უნარი. ეს უპირატესობა არ უნდა დაიკარგოს ორენოვანი ბაგშვების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გამო. თუ საზოგადოება ჩახშობის ნაცვლად ხელს შეუწყობს ბილინგვიზმს, ეს სარგებლობას მოუტანს არა მარტო ბაგშვებს, არამედ მთელ საზოგადოებას.

2. როგორც ფსიქოლინგისტიკის, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ორენოვანი/იმიგრანტი ბაგშვების ჩართვა ორენოვანი განათლების სისტემაში. ეს ხელს შეუწყობს მათ გონიერივ განვითარებას, მათი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და ადამიანის უფლებების რეალიზაციისთვის სათანადო პირობების შექმნას.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც იმიგრანტთა ერის (სადაც ძალიან ბევრი ადამიანი სხვადასხვა მიზეზების გამო ამ ქვეყანაში ჩავიდა და თან ჩაიტანა თავიანთი ტრადიციები, კულტურა და ენა), ნათელ სურათს ასახავს. ისტორიულად, სწორედ იმიგრანტი ოჯახების ბაგშვებისთვის განათლების მისაცემად იქნა პირველად გამოყენებული მრავალფეროვანი და ხშირად ორენოვანი სწავლების საკამათო მეთოდი. დღესდღეობით ამერიკაში არსებობს ორენოვანი პროგრამების საქმაოდ ფართო სპექტრი: გარდამავალი (transitional), ხელისშემწყობი (maintenance), განსამტკიცებული (enrichment) და იმერსიული (immersion) პროგრამები. მოცემული კვლევა მხოლოდ იმერსიულ პროგრამებზე(როგორც ყველაზე ეფექტური) არის ორიენტირებული. კერძოდ, განხილულია ორენოვანი, ტოტალური და ნაწილობრივ იმერსიული პროგრამები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან უცხო/მეორე ენის შესწავლის ხანგძლივობითა და სტუდენტთა შემადგენლობით. ამ პროგრამათა შორის ძირითადი სხვაობა მე-6 ცხრილში არის შეჯამებული:

*ცხრილი 6. განსხვავება ტოტალურ, ნაწილობრივ და ორენოვან იმერსიულ  
პროგრამებს შორის*

პროგრამა	უცხო/მეორე ენის შესწავლის ხანგრძლივობა	სტუდენტთა შემადგენლობა
ორენოვან იმერსიული	50% - 50%	ენობრივი უმრავლესობისა და უმცირესობის მოსწავლეთა რაოდენობა თანაბარია
ტოტალურად იმერსიული	100%	ენობრივი უმრავლესობის სტუდენტები უცხო/მეორე ენას ეუფლებიან
ნაწილობრივად იმერსიული	50%-დან 90%-მდე	ენობრივი უმცირესობის სტუდენტები ინგლისურ ენას სწავლობენ

3. ჩემი პიპოთეზა იმაში მდგომარეობდა, რომ ორენოვანი იმერსიული  
პროგრამები შეერთებულ შტატებში ეფექტური მოდელი იქნებოდა სხვა  
ენების სასწავლებლად ინგლისურენოვანი მოსწავლეებისათვის, ისევე  
როგორც ინგლისური ენის სასწავლებლად იმიგრანტ მოსწავლეთათვის.  
აგრეთვე აკადემიური საგნების სწავლებას ეს პროგრამები უფრო  
წარმატებულს გახდიდა და ხელს შეუწყობდა ჯანსაღი კულტურათაშორისი  
ურთიერთობების ჩამოყალიბებას. შეერთებულ შტატებში ორენოვანი  
მშობლების პროგრამებისადმი დამოკიდებულების კვლევამ აღნიშნული  
პიპოთეზა დაადასტურა. ორენოვანი იმერსიული პროგრამების მიმართ  
თითქმის ყველა მშობელმა გამოხატა ძლიერი მხარდაჭერა. კვლევის  
შედეგებმა აჩვენა, რომ მშობელთა უმრავლესობა ამ არჩევანს თავიანთი  
შვილებისთვის სასარგებლოდ მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის  
მიმოხილვა ხაზს უსვამს მშობელთა გადამწყვეტ როლს ორენოვანი  
პროგრამების არსებობასა და გამოყენებაში. სწორედ მშობლები

წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც ინარჩუნებს ამ პროგრამებს კანონმდებლობით მათი გაუქმების საფრთხის ფონზე.

4. ნებისმიერი სახის იმერსიული პროგრამის არჩევის უკელაზე ძლიერი მოტივი “შშობლიურ ენასა და კულტურასთან სიახლოებები” აღმოჩნდა. ბავშვებისთვის ამა თუ იმ პროგრამის არჩევისას მშობელთა სხვა მამოძრავებელი მიზეზები აზრთა ერთგვაროვნებით არ ხასიათდებოდა. ეს შეიძლება პროგრამათა სპეციფიკით აიხსნას, რადგანაც ისინი ენობრივი უმცირესობის მოსწავლეებისთვის არის შექმნილი. ამ ბავშვებს ინგლისური ენის სწავლა სჭირდებათ, მაგრამ ამავე დროს მშობლიური ენის შენარჩუნება სურთ. ამდენად, კულტურათაშორის დიალოგში მოსწავლის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, მეორე/უცხო ენის დაუფლებისა და ასევე მაღალი აკადემიური სტანდარტების უზრუნველყოფის საკითხი დგება.
5. ფაქტია, რომ საჯარო განათლების სისტემა მიზნად ისახავს სტუდენტთა კომპეტენციის მრავალი კუთხით ამაღლებას და მათ ჩამოყალიბებას პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, შეგნებულ მოქალაქეებად. სტუდენტთა მასის ცვალებად და მზარდ ინტერესებს ქვეყანა აღეკვატურად უნდა გამოხატავდეს. ზოგადად, ამერიკელებს სჯერათ, რომ, თუკი ყველა მოსწავლე დაუფლება ერთზე მეტ ენას, ეს უნარ—ჩვევა ფასდაუდებელი იქნება დღევანდელ მრავალფეროვან გლობალურ საზოგადოებაში. ასევე ეს ხელს შეუწყობს შემეცნებით მოქნილობას და მაღალ აკადემიურ მიღწევებს მათემატიკაში, სოციალურ მეცნიერებასა და ენებში. ეს მნიშვნელოვანი სოციალურ-აკადემიური უნარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კურიკულუმის უკელა სფეროში იმ მოსწავლეებთან, რომლებიც თავიანთი აკადემიური კარიერის მანძილზე სწავლობენ როგორც ინგლისურად, ისე სულ მცირე ერთ ან მეტ სხვა ენაზე. ორენოვანი სწავლების სისტემა მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერაქციისათვის შექმნის უფრო ხელსაყრელ შემოქმედებით გარემოს ლოკალურ და გლობალურ დონეზე.

6. ჩემი პიპოთეზა ვარაუდობდა, რომ ეთნიკური უმცირესობის/ორენოვანი ოჯახების მშობლები მხარს დაუჭერდნენ ორენოვანი პროგრამების განვითარებას საქართველოში. როდესაც რესპონდენტები ბილინგვიზმის თაობაზე პასუხობდნენ შეკითხვას, მათ მკვეთრად გამოხატული დადებითი პოზიცია ეჭირათ მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვური პროგრამების სახეობათა შესახებ ისინი საკმარისად ინფორმირებული არ იყვნენ. გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობამ უპირატესობა ისეთ ორენოვან პროგრამებს მიანიჭა, სადაც მშობლიური და უცხო ენა ურთიერთკავშირში იყო.
7. პიპოთეზა ასევე გულისხმობდა, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობის/ორენოვანი ოჯახების მშობლები ორენოვანი განათლების პროგრამებს ჩათვლიდნენ აკადემიურად დირექტულ, ინოვაციურ მიდგომად, რომელიც ხელს შეუწყობდა ბავშვების ურთიერთპატივისცემას, კულტურათაშორის დიალოგს და უცხო ენის ეფექტურად შესწავლას. კვლევამ აჩვენა ეთნიკური უმცირესობის ოჯახების მშობლების დამოკიდებულება და მათი ბავშვებისათვის ორენოვანი სასკოლო პროგრამების მნიშვნელობა. ეს პროგრამები მშობლებმა დაახასიათეს, როგორც შთამბეჭდავი საგანმანათლებლო მიდგომა და გამოთქვეს მათი საქართველოში დანერგვის სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გაკეთდა, ქართველ საზოგადოებასთან მათი ინტეგრაციისა და ამასთანავე მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნების პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება.

## რეკომენდაციები

1. სასურველია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ან არასამთავრობო ორგანიზაციებმა საგანმანათლებლო ენობრივი პროგრამების შექმნის დროს გაითვალისწინონ ჩემი პვლევის შედეგები. მნიშვნელოვანია, ორენოვანი სწავლების ეფექტური მოდელის განსაზღვრა და ორმხრივი ბილინგვური პროგრამების წარმატების პოტენციალის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება.
2. რადგან ორენოვანი იმერსიული პროგრამები წარმატებით შედგა ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირველ რიგში ამ სახის პროგრამას გავუწევდი რეკომენდაციას, რა თქმა უნდა, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. რადგან ამერიკის მსგავსად, ორენოვანი პროგრამების დანერგვის საჭიროება აქტუალურია საქართველოშიც, რეკომენდაციას გავუწევდი რამდენიმე ტიპის ბილინგვურ პროგრამას, რომელთა შორის წამყვანი იქნებოდა ორენოვანი იმერსიული პროგრამა.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. E. Pipia (2008) ESL Teaching and Learning Background in the United States of America, *Scientific Journal of International Black Sea University*, Vol 2, NO 1
2. E. Pipia (2010) Code-switching in the Two Way Immersion Classrooms and Language of Initial Literacy *INTELECTI periodical scientific journal* 2(37)
3. E. Pipia (2010) Two Languages in one child's brain *INTELECTI periodical scientific journal* 2(37)